„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერი ჩვენ ვართ ყველაო“

ოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2022 წელი ● №1-2 (9519-9520) ● 1-31 იანვარი ● ფასი 1 ლარი

მუნიციპალიტეტის მერიაში

საახალწლო ღონისძიებები

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, საქართველოსყველამუნიციპალიტეტში საახალწლო ღონისძიებები გაიმართა.

სენაკში საახალწლო ღონისძების ფარგლებში მოეწყო საშობაო ქარავანი, ბაზრობები, საბავშვო გასართობი სივრცეები. ტერიტორიაზე განთავსებული იყო ხის საახალწლო სახლები, ფოტოგადასაღები სტენდები და ინსტალაციები. სენაკში საახალწლო ღონისძიებები ორ საათზე დაიწო.

მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ პატარებს თოვლის ბაბუამ ტკბილეული და საჩუქრები გადასცა.

გაიმართა კონცერტი - ადგილობრივი შემოქმედებით ჯგუფების მონაწილეობით. საღამოს, სენაკელების წინაშე ,,ქუჩის ბიჭები", ნოდარიკო ხუციშვილის ბენდი, ელენე ფოჩხუა და სოფო ბედია წარდგნენ. გალა კონცერტს მსახიობი, გიორგი ჭანტურია უძღვებოდა.

საახალწლო ღონისძიება გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.

ღონისძიებაზე დაცული იყო კოვიდრეგულაციები.

პროფესიული დღე მიულოცა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პირველ მოადგილესთან, გრიგოლ ბაღათურიასთან ერთად, სენაკელ თეატრალებს შეხვდა, მათ პროფესიული დღესასწაული მიულოცა, მადლობის სიგელი გადასცა, მდიდარი თეატრალური ტრადიციების ღირსეული გაგრძელება და ახალი წარმატებები უსურვა. ,,გილოცავთ პროფესიულ დღესასწაულს - ქართული თეატრის დღეს და მადლიერებას გამოვხატავ კულტურული ტრადიციებით გამორჩეული სენაკის თეატრალურ ცხოვრებაში თქვენი მოღვაწეობით შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის.

სიამაყით მავსებს, რომ ჩვენს ქალაქს გენიალური აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრი ამშვენებს, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მუნიციპალიტეტის თეატრალური ცხოვრების განვითარებაში.

პრემიერებს, უთვალავ მაყურებელს და შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ" - აღნიშნა ვახტანგ გადელიამ

შეხვედრა წლის წარმატებულ სენაკელებთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ღვაწლმოსილ, წარმატებულ სენაკელებს - ლუარა დგებუაძეს, რუსუდან მილიუტინს და კოვალი ხუნწარიას შეხვდა.

მუნიციპალიტეტის მერმა, ღვაწლითა და დამსახურებებით გამორჩეულ სენაკელებს საპატიო წოდებები მიანიჭა და სიგელები გადასცა.

წლის წარმატებული ექიმისა და მენეჯერის წოდება მიენიჭა სენაკის ბავშვთა საავადმყოფოს დირექტორს, ღვაწლმოსილ ექიმ-პედიატრს, ლუარა დგებუაძეს - გამორჩეული მოღვაწეობისა და მედიცინის სფეროში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის;

წლის წარმატებული ხელოვანის წოდება მიენიჭათ - სენაკის საპატიო მოქალაქეს, დამსახურებულ პედაგოგს, რუსუდან მილიუტინს და ღვაწლმოსილ პედაგოგს, მხატვარ კოვალი ხუნწარიას - ხანგრძლივი, წარმატებული შემოქმედებითი მოღვაწეობისა და კულტურისა და ხელოვნების სფეროებში შეტანილი წვლილისთვის.

ჩვენს ქალაქში, წელს პირველად, გაიმართა სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წლის წარმატებული ადამიანების დაჯილდოების ცერემონიალი.

პანდემიის პერიოდში გაწეული მნიშვნელოვანი წვლილისთვის, წლის წარმატებული მენეჯერის წოდება მიენიჭათ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორს, ანა ჭიჭაღუას და ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების დირექტორს, მურმან ბოჯგუას;

წლის წარმატებული მეწარმის წოდება მიენიჭა არჩილ კორსავას;

წლის წარმატებული ქორეოგრაფის წოდება მიენიჭა საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის სენაკის ორგანიზაციისა და ქორეოგრაფიული სტუდია ,,კუჩხიბედინერის" ხელმძღვანელს, ქორეოგრაფ ზვიად გვასალიას;

ქალაქის კოლორიტის წოდება მიენიჭა ღირსეულ სენაკელს, ზურაბ ჭანტურიას;

წლის წარმატებული სპორტსმენის წოდება მიენიჭათ - მსოფლიო ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონს, საქართველოს ხუთგზის ჩემპიონს, ჭაბუკთა შორის საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონს, მესამე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, ევროპის ჩემპიონს, საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებულს, საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენის ტიტულის მფლობელს, გიორგი ჩხიკვაძეს; საქართველოს ორგზის ჩემპიონებს, ეროვნული ნაკრების და ქალთა საფეხბურთო კლუბ ,,ლანჩხუთის" წევრებს, 2020 წლის ქალთა ლიგის წარმატებულ ახალგაზრდა ფეხბურთელებს, ნათია წოწერიას და სოფო ნარსიას

პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პირველ მოადგილესთან, გრიგოლ ბაღათურიასთან ერთად, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეგრელო-ზემო სვანეთის ხელმძღვანელს, ანზორ ქობალიას, ამავე ცენტრის წარმომადგენელს, თამარ აბსანძეს, სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორს, ანა ჭიჭაღუას, მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო სექტორების ხელმძღვანელებს შეხვდა.

სამუშაო შეხვედრაზე განხილულ იქნა ჩვენი დროის გლობალური გამოწვევის - კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის ერთობლივად გასატარებელი ღონისძიებები, ვაქცინაციის პროცესში სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო სექტორების და ზოგადად, მოსახლეობის აქტიური ჩართულობა.

მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ვირუსული ინფექციის გავრცელების რისკის შესამცირებლად, ასევე სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების თანმიმდევრულად და ეფექტიანად დაძლევისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფი გააგრძელებს მუშაობას, რომ ვაქცინაციის პროცესმა, სენაკის მუნიციპალიტეტი ოპერატიულად და დროულად მოიცვას, რადგან იმუნიზაცია ვირუსისგან დაცვის ეფექტური, უსაფრთხო და უალტერნატივო საშუალებაა.

შეხვედრაზე იმსჯელეს ქალაქის უბნებსა და ადმინისტრაციული ერთეულების ამბულატორიებში, გამსვლელი მობილური ბრიგადების დახმარებით, ადგილებზე მოსახლეობის ვაქცინაციის ჩატარების შესახებ, საუბარი ასევე შეეხო ასაცრელი მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფის, ამ საქმეში მერის წარმოადგენლების აქტიური ჩართულობის საკითხებს.

აღინიშნა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული, კორონავირუსის ვაქცინაციის წახალისების 200-ლარიანი პროგრამა იანვარშიც გაგრძელდება.

წახალისების პროგრამით სარგებლობა ახლა უკვე 50 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ.

კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის პირველი დოზის ჩატარების შემდეგ 200 ლარიანი ერთჯერადი დანამატი ავტომატურად ჩაერიცხება ვაქცინირებულ პირს. ავიცრათ ერთმანეთისთვის!

თეატრის დღეს მიეძღვნა

ქართული თეატრის დღეს მიეძღვნა სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ახალგაზრდული თეატრის სპექტაკლი ,, ,,შენსკენ სავალი გზები", რომელიც ლაშა თაბუკაშვილის პიესის მიხედვით, რეჟისორმა, ვეფხვია გორგოძემ დადგა.

პრემიერის დაწყებამდე, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, ,,ფიროსმანელებს" პროფესიული დღესასწაული მიულოცა და მადლობის სიგელი გადასცა.

,,მინდა მადლიერება გამოვხატო ახალგაზრდულ თეატრ ,,ფიროსმანის" მიერ სენაკის თეატრალურ ცხოვრებაში შეტანილი წვლილისთვის.

გისურვებთ შემდგომ პროფესიულ წინსვლას და წარმატებებს" - აღნიშნა ვახტანგ გადელიამ.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

<u>მუნიციპალიტეტის მერიაში</u>
(დასასრული)

პირველი საოჯახო ტიპის საცხოვრისი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და სოციალური ინკლუზიის მხარდამჭერი ორგანიზაციის „ხელი ხელს" ინიციატივით, სენაკში, პირველი საოჯახო ტიპის საცხოვრისი გაიხსნა.

სენაკი სამეგრელოს რეგიონში პირველი მუნიციპალიტეტია, სადაც ზრდასრულ შშმ პირთათვის მსგავსი სერვისი ხელმისაწვდომი გახდება.

საოჯახო ტიპის საცხოვრისის გახსნის ღონისძიებას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პირველ მოადგილესთან, გრიგოლ ბაღათურიასთან და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

საოჯახო ტიპის სახლში 5 ადამიანი განთავსდება. ისინი დიდი ზომის, ჩაკეტილი ინსტიტუციების ნაცვლად თავისუფალ გარემოში გააგრძელებენ ცხოვრებას. საოჯახო ტიპის საცხოვრისი მათ საშუალებას აძლევს არ გაატარონ მთელი ცხოვრება იზოლირებულ გარემოში, სადაც პიროვნული თავისუფლება შეზღუდულია.

პროექტის განხორციელებით, დასაქმდა 6 სენაკელი, რომლებიც ახალი სახლის ბენეფიციარებს ყოველდღიური აქტივობების დაგეგმვაში შეუწყობენ ხელს.

№1 ბაგა-ბაღის რეაბილიტაციის პროცესი

ქალაქ სენაკში, №1 ბაგა-ბაღის რეაბილიტაციის პროცესი უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს.

რეაბილიტაცია უტარდება გარე ფასადს, სააღმზრდელო, სასაწყობე ოთახებს, სველ წერტილებს; იცვლება ფანჯრები, მიმდინარეობს საკონცერტო დარბაზის კეთილმოწყობისა და სამზარეულო შენობის გადახურვის სამუშაოები.

ბაგა-ბაღის მარჯვენა ფლიგელის მეორე სართულზე ასევე აქტიურად ხორციელდება სარეაბილიტაციო სამუშაოები, სადაც განთავსდება მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ადმინისტრაცია. სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს, მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ გადელია ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან, ედიკა ბერაიასთან ერთად გაეცნო.

უახლოეს პერიოდში, ქალაქ სენაკში, ელიავას ქუჩაზე, ასევე დაიწყება 100 აღსაზრდელზე გათვლილი, №3 ბაგა-ბაღის მშენებლობის უანალოგო პროექტის განხორციელების პროცესი.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" ძველ სენაკში

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის თოთხმეტივე ადმინისტრაციულ ერთეულში 62 პროექტი განხორციელდა.

პროექტის ფარგლებში, ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულისთვის 84 000 ლარი გამოიყო.

ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა, მოსახლეობის სასურველი პროექტების განხორციელებას მოხმარდა: გარე განათების სისტემა მოეწყო სორტაში, კოტიანეთსა და ზემო სორტაში; სოფელ ძველი სენაკის მინი სპორტულ მოედანზე მოეწყო ხელოვნური საფარი; სოფელ საჩიქობავოში, ორ ხიდ-ბოგირზე - სათავისები, ასევე ამოიწმინდა სანიაღვრე არხი; სოფელ მეორე ნოსირში რეაბილიტირდა ცენტრალური სკვერი.

ხელისუფლების მიერ დანერგილი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" არის საუკეთესო საშუალება იმისათვის, რომ მოსახლეობის საჭიროებებსა თუ პრობლემებზე რეაგირება მოხდეს დროულად და თითოეული პროექტი თავად მოქალაქეებმა აირჩიონ.

39 წელი შეუსრულდებოდა

ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის კაპრალს თემურ ბოკუჩავას 39 წელი შეუსრულდებოდა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, პირველ მოადგილესთან, გრიგოლ ბაღათურიასთან და საკრებულოს წევრთან, საბა ოდიშარიასთან ერთად, პატივი მიაგო გმირის ხსოვნას და ყვავილებით შეამკო თემურ ბოკუჩავას საფლავი.

თემურ ბოკუჩავა 1983 წელს, სოხუმში დაიბადა. ათი წლის ყმაწვილს მტერმა მშობლიური ქალაქი დაატოვებინა და დევნილობის მძიმე ხვედრი არგუნა.

თემური ვერც კი წარმოიდგენდა, რომ აფხაზეთის მეშვიდე სკოლა, სადაც ის სწავლობდა, წლების შემდეგ მისი სახელობის გახდებოდა...

2008 წლის ავბედით 8 აგვისტოს, მეუღლეს, მაია ცეცხლაძე-ბოკუჩავას დაბადების დღე მიულოცა, თან დაამშვიდა და თითქოს დაუბარა კიდეც, შვილს მიმიხედეო...

სატელეფონო საუბრიდან ერთ საათში თემური მტრის ტყვიამ იმსხვერპლა.

ობლად დარჩენილი 2 თვის ალექსის დედამ, მაია ცეცხლაძე-ბოკუჩავამ, თემურის დაღუპვის შემდეგ, მეორე ქვეით ბრიგადაში ქვეყნისათვის მსახურების გადაწყვეტილება მიიღო.

დღეს, ალექსი 13 წლისაა, მამის სახელობის სკოლაში სწავლობს. ისიც, მამის მსგავსად, აფხაზეთში დაბრუნებაზე ოცნებობს... სამხედრო სამსახურში მყოფ დედას ვაჟის ოცნების რეალობად ქცევაში თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს.

სამი განახლებული მინი სპორტული მოედანი



დასრულებულია აღმაშენებლის ქუჩაზე - ე. წ. საკირესთან, შხეფში - სტალინის ქუჩის მიმდებარედ და სანაიას ქუჩაზე არსებული მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაციის პროცესი.

სპორტულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პირველ მოადგილესთან, გრიგოლ ბაღათურიასთან ერთად გაეცნო.

„ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და ახალგაზრდებში სპორტის პოპულარიზაციის მიზნით ინფრასტრუქტურული პროექტების აქტიურად განხორციელება ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია" - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" პროექტები ნოქალაქევში

საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, 2021 წელს, სენაკის მუნიციპალიტეტისთვის 738 000 ლარი გამოიყო, რომელიც მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ადმინისტრაციულ ერთეულებზე გადანაწილდა.

მუნიციპალიტეტის 14-ივე ადმინისტრაციულ ერთეულში ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად მოიხრეშა შიდა საუბნო გზები, მოწესრიგდა სანიაღვრე არხები, მოეწყო გარე განათების სისტემა, ხიდ-ბოგირები და სხვ.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულისთვის 60 000 ლარი განისაზღვრა.

ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულის ლებაღათურიეს უბანში, საავტომობილო ხიდზე, ქვეითად მოსიარულეთათვის მოეწყო საფეხმავლო ბილიკი; ჯიხას უბანში - სასაფლაომდე მისასვლელ გზაზე დაიგო ბეტონის საფარი და კეთილმოეწყო სკვერი; ძიგიდერის უბანში - ნაპირსამაგრი გაბიონი.

მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობამ თავად განსაზღვრა ის პრიორიტეტები, რომელთა განხორციელებაც უმნიშვნელოვანესია მათი ადმინისტრაციული ერთეულისთვის.

ეს პრინციპი განაპირობებს პროექტების მაღალეფექტიანობას და მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

14 იანვარი - ქართული თეატრის დღე

„რეალისტური ხელოვნების ოსტატი"

სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მრავალრიცხოვან კოლექტივს ვულოცავთ ქართული თეატრის დღეს. აღნიშნულთან დაკავშირებით მკითხველებს ვთავაზობთ აკაკი ხორავას მოღვაწეობიდან შტრიხებს.

აკაკი ხორავა იყო ერთ-ერთი უდიდესი მსახიობი და პედაგოგი, რომელმაც მოღვაწეობის პერიოდში უამრავი ადამიანის გული დაიპყრო. დაამთავრა ახალ სენაკის ორწლიანი სკოლა და სწავლა გააგრძელა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიაში, სწავლობდა თბილისისა და კიევის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე. 1917 წლიდან აქტიურად ჩაება სენაკის სცენის მოყვარეთა დასის მოღვაწეობაში.

აკაკი ხორავამ მთელი თავის ცხოვრება დაუთმო შოთა რუსთაველის სახელობის თეატრს, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა. 1949-55 წლებში ამავე თეატრის დირექტორიც იყო.

ხორავა რეალისტური თეატრალური ხელოვნების უდიდესი ოსტატია, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული და მთელი საბჭოთა თეატრის განვითარების საქმეში. მან მიიღო მონაწილეობა უამრავ თეატრალურ დადგმასა და ფილმებში. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ფილმები მისი მონაწილეობით: გიორგი სააკაძე ("გიორგი სააკაძე ", 1942-1943), სკანდერბეგი ("ალბანეთის დიადი მეომარი სკანდერბეგი", 1953), გიჟუა ("რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"! 1965).

აკაკი ხორავა ადამიანი რომელიც დიდთან და პატარასთან თავმდაბალი, უბრალო, ხალისიანი, მქუხარე, ახალგაზრდების გულშემატკივარი და უდიდესი არტისტი იყო... მას მრავალი მეგობარი ჰყავდა: საფრანგეთში — პიკასო და ლუი არაგონი, ჟერარ ფილიპი, ივ მონტანი და სიმონა სინიორე, გერმანიაში — ვალტერ შმიდტი და ელფრიდე ფლორინი. ასევე ალბანეთში და რუსეთში. აკაკი ხორავას ოჯახურ გარემოში ნახავდით პიკასოსა და ფერნან ლეჟეს ნამუშევრებს, რომლებიც თავად ავტორებმა აჩუქეს.

ერთხელ ხორავა საფრანგეთში იმყოფებოდა და ფრანგული თეატრისა და კინოს ვარსკვლავმა ჟერარ ფილიპმა ჰკითხა, „ბატონო ხორავა, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ხართ, რა არის საჭირო, რომ თქვენ ქვეყანაში დეპუტატი გახდე?" ხორავამ გაიღიმა და უპასუხა: „აი, მაგალითად, ისეთი მსახიობი, როგორიც თქვენ ბრძანდებით, სავსებით შესაძლებელია, რომ იყოს დეპუტატი".

მეორე დღეს პარიზის გაზეთებში მთელ გვერდზე დიაგონალით, ტექსტის ზევით დიდი ასოებით იყო დაბეჭდილი: „აკაკი ხორავამ ჟერარ ფილიპს სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობა შესთავაზა!"

1954 წელს ინდოეთის დელეგაცია ჩამოვიდა. კინოვარსკვლავები რაჯ კაპური და ნარგიზი, „ოტელოს" სანახავად რუსთაველის თეატრს ეწვივნენ, რაც აუწერელ სენსაციად იქცა. სპექტაკლს კინოფირზე იღებდნენ. რაჯ კაპური და ნარგიზი აცრემლებული ეხვეოდნენ მსახიობებს, ხორავას შავმა გრიმმა რაჯ კაპური და ნარგიზი მავრებს დაამსგავსა.

მოსკოვში XX საუკუნის აღიარებული მსახიობი ვასილი კაჩალოვი მსახიობის სახლში საღამოს მართავდა. ხორავას და მის თანმხლებთ — გიგა ლორთქიფანიძესა და ნათელა ურუშაძეს ბილეთები არ ჰქონდათ, მაგრამ მაინც წავიდნენ, გზას ფეხით გაუდგნენ. თითქმის მთელი მოსკოვი იდგა გრძელ რიგში და ბილეთებს ეძებდა. უცებ გაისმა ძახილი: Хорава! Хорава! Хорава идет! უზარმაზარი მასა ორად გაიპო და მას გზა დაუთმო. საღამოს შემდეგ კაჩალოვმა თქვა: „შესვენებაზე მაუწყეს, რომ ამ საღამოს ესწრება გენიალური მსახიობი აკაკი ხორავა... ჩემს ხელოვნებას ვუძღვნი ყველა დროის უდიდეს მსახიობსა და შემოქმედს".

როცა აკაკი ხორავას ცხედარი რუსთაველის თეატრიდან მთაწმინდაზე უნდა გადაესვენებინათ, ეროსი მანჯგალაძის გამოსათხოვარი სიტყვა ასე დასრულდა: „მშვიდობით ანზორ, მშვიდობით ოძელაშვილო, მშვიდობით კარლ მოორ, მშვიდობით დიდო ხელმწიფევ, მშვიდობით ოიდიპოს, მშვიდობით გმირო ოტელო, მშვიდობით პირველო არტისტო!"

აკაკი ხორავა უამრავი ჯილდოს ავტორია. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 2 შრომის წითელი დროშის ორდენით, 2 წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლებით. წარმატებული მსახიობი გარდაიცვალა 1972 წლის 23 ივნისს, თბილისში.

ჯემალ აჯიაშვილი

ქართველი ებრაელი მწერლის, პოეტისა და მთარგმნელის ჯემალ აჯიაშვილის გარდაცვალებიდან 5 იანვარს ცხრა წელი გავიდა.

ჯემალ აჯიაშვილი დაბა სენაკში დაიბადა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, სამსახურეობრივი მივლინებით იმყოფებოდა ირანში. სხვადასხვა წლებში მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთკავშირების მთავარ სარედაქციო კოლეგიაში უფროს სამეცნიერო რედაქტორად, კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და უცხო ენების ინსტიტუტში, იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ–უცხოური ლიტერატურული ურთიერთობების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის თანამშრომელი, არჩეულ იქნა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის აღმოსავლეთმცოდნეობის კათედრის გამგედ, იყო ებრაული სახალხო უნივერსიტეტის რექტორად. ასევე, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წევრი, სამი მოწვევის საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის და ებრაულ თემთა ევროკავშირის ორგანიზაციათა წევრი, საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

ჯემალ აჯიაშვილმა თარგმნა მსოფლიო კლასიკური პოეზიის ნიმუშები, ბიბლიური ფსალმუნები, ანდალუსიელი ებრაელი პოეტების ლექსები, ძველბერძნული და სპარსული პოეზიის ნიმუშები, შექსპირის, ჩიკამაცუს, ტირსო დე მოლინას, კარლო გოცის დრამატული პოემები, დანტეს, პეტრარკას, მიქელანჯელოს, რილკეს სონეტები, ვლადიმერ მაიაკოვსკის, ბორის პასტერნაკის და სხვათა ლექსები.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში წარმატებით დაიდგა მის მიერ ნათარგმნი კარლო გოცის პოემა-ზღაპარი "ცისფერი უკუნეთი", ჩიკამაცუს დრამატული პოემა "შეყვარებულთა თვითმკვლელობა კუნძულის ზეციურ ბაგეზე".

ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობას მან მიუძღვნა ისტორიული ესე "გაიღვიძე ქნარო!" – პიესა-მონოლოგი, რომელიც კოტე მახარაძემ დადგა ერთი მსახიობის თეატრში.

ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის ის გახდა სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიის ლაურეატი, ივანე მაჩაბელის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი. ჯემალ აჯიაშვილს გადაეცა ლიტერატურული პრემია „საბა" საუკეთესო თარგმანისთვის „ვარსკვლავთა ჩრდილში მაღალთა თანა".

პოეტი და მწერალი 69 წლის ასაკში ისრაელში გარდაიცვალა.

მარიკა მიქაბერიძე

სიკეთის კეთების და ქველმოქმედების ნიჭი

¨როცა ადამიანი კეთილ საქმეს
აკეთებს, მასზე გარდამოედინება
მადლი სულისა წმიდისა, რაც
მთელ მის სახლს, მის
ახლობლებს, შვილებსა და შვი-
ლიშვილებს ეფინება¨.

სიკეთე ჩემთვის არის, ის, როდესაც ეხმარები ადამიანს, უცნობსა თუ ნაცნობს და იმისგან არაფერი არ გინდა. სიკეთე უსასრულოა, იგი ღვთისგან ნაბოძები ნიჭია და მადლია. სიკეთის კეთების და ქველმოქმედების ნიჭი უხვად აქვს მომადლებული ღვთისაგან ბატონ დემურ გადელიას.

მისი სახელი ყველამ იცის. მასზე რომ წერ, არ იცი საიდან დაიწყო. მის მიერ განვლილ ცხოვრებაზე, გაწეულ ქველმოქმედებაზე დაუსრულებლად შეიძლება ვისაუბროთ: „ქვრივ-ობლების გამკითხავი, ქველმოქმედი, უპოვართა და უბედოთა დამპურებელი, ქართული ზნეობისა და ტრადიციების დამფასებელი". ვინ მოთვლის, რამდენ ადამიანს გაუმართა ხელი, რამდენს გაუკვალა გზა ცხოვრებაში. სოციალურად დაუცველი ადამიანებს, ინვალიდებს, ავადმყოფებს, უმწეო დევნილებს, პედაგოგებს, მზრუნველობამოკლებული ბავშვებს, ნიჭიერ, შემოქმედ ახალგაზრდებს, სპორტსმენებს, ხელმოკლე სტუდენტებს, გარდაცვლილთა უმწეო ოჯახებს. სტიქიით და ხანძრით დაზარალებულებს... ჭირსა და ლხინში თანადგომა და ერთგულება კი მისი თანდაყოლილი მახასიათებელია.

ბატონი დემურის ყურადღების მიღმა არასოდეს დარჩენილან დევნილები, ომის ვეტერანები, ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლები. ერთი მაგალითი ამისა არის ჩემი ოჯახი. ჩემი მეუღლე დევნილია. შეგვექმნა სერიოზული პრობლემები. სწორედ ამ დროს მოგვევლინა მხსნელად ბატონ დემური. რომ არა მისი გულისხმიერება, კეთილი გული, რომელსაც ყველა ეცოდება, იცის რა ძნელია... როცა გიჭირს და არ გაქვს..., ჩვენ ნამდვილად გაგვიჭირდებოდა ამ პრობლემასთან საკუთარი ძალებით გამკლავება. დღეს რომ ჩემი შვილი სწავლას აგრძელებს თავის მეგობრების გვერდით, ეს მისი დამსახურებაა.

ბატონო დემურ, თქვენი ღვაწლი და ძალისხმევა, თქვენს მიერ განვლილი გზა შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იღვაწოს ადამიანმა თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის, თუ, როგორ უნდა დაუდგნენ მხარში ერთმანეთს ადამიანები, როგორ ვიცხოვროთ ისე, რომ ჩვენი სული სიკეთისკენ იყოს მიმართული. ამ ქვეყანად, იმისთვის ვართ, რომ რაც შეიძლება ბევრი კეთილი საქმე აღვასრულოთ.

მადლობას გიხდით ყველაფრისთვის, რაც გააკეთეთ ჩემი შვილისთვის, ჩემი ოჯახისათვის, თქვენი დიდი კეთილი გულისთვის, რომელიც ყოველთვის მზად არის სხვისი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის. მინდა თქვენი გულისხმიერება და საჭირო მომენტში დაუყოვნებელი დახმარების ხელი ყოველთვის გულითადად და მადლიერებით აღიქმებოდეს.

ბატონო დემურ, მე როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი, ყოველდღე ვილოცებ თქვენთვის, თქვენი ოჯახისთვის, თქვენი შვილიშვილებითვის, დიდხანს იცოცხლეთ, რომ კიდევ ბევრი სიკეთის კეთება მოასწროთ, კიდევ ბევრი ააშენოთ და დაამშვენოთ.

გილოცავთ იანვრის დღესასწაულებს, დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს და წარმატებებს გისურვებთ. კვლავ წელგამართულმა იარეთ ქართულ მიწაზე. იდღეგრძელეთ მრავალ ათეულ წელს თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

შორენა შამათავა,
ნოქალაქევის საჯარო სკოლის
დირექტორი

ფიცი ერთგულებისა და წრფელი სიყვარულისა

ყველაფერი ძველდება მზისქვეშეთში გარდა სიყვარულისა. სიყვარული ანათებს, აძლიერებს, აკეთილშობილებს ადამიანებს. სიყვარულით შექმნილ ოჯახებს კი ქვიანი ბალავრის სიმტკიცე აქვთ. მტკიცე ოჯახი კი ქვეყნის ძლიერების ქვაკუთხედია.

თამთა თოდუასა და დათა საჯაიას ქორწინებამ დიდი სიხარული მოუტანა მშობლებს, მეგობრებს, ახლობლებს.

გაზეთის რედაქცია ახალდაქორწინებულებს ულოცავს ოჯახის შექმნას, უსურვებს სიხარულს და ბედნიერებას. ღმერთო, გაუმრავლე ჩვენს კოლხურ ქალაქს ქორწილები, ძეობები.

ახალდაქორწინებულებს ვუსურვებთ ბედნიერებას, სიხარულს, შვილთა სიმრავლეს. ხვავი, ბარაქა, დაბედებოდეთ!

მაია გერგაია

„საქართველოს საგანგებო სულიერი მისია გააჩნია"



სენაკი მრავალი თვალსაჩინო, ავტორიტეტული, თავის პროფესიაში სწორუპოვარი... პიროვნებათა ოდაბადეა. დღეს ერთ-ერთ მათგანთან, თქვენთვის კარგად ნაცნობ, სენაკის საპატიო მოქალაქესთან, ბატონ თამაზ ფირცხელავასთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ.

იგი დაიბადა ცხაკაიაში. 1970 წელს დაამთავრა №3 საშუალო სკოლა, 1978 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი.. 1978-1981 წლებში განაწილებით მუშაობდა ხობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმად, შემდგომში განყოფილების გამგედ თერაპიულ განყოფილებაში.

1981-87 წლებში სწავლობდა მოსკოვში, საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული, ექსპერიმენტული ენდოკრინოლოგიისა და ჰორმონების ქიმიის ინსტიტუტში" ჯერ კლინიკურ ორდინატურაში, შემდეგ ასპირანტურაში. იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

გარკვეულ წლებში მუშაობდა კურორტ მენჯში განყოფილების გამგედ. 1993 წელს საქართველოში პირველად, რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე დაარსა „რ. ფოლის მეთოდით დიაგნოსტიკისა და ჰომეოპათიური ლაბორატორია". 1996-2000 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, მის მიერ დაარსებულ „ჰომეოპათიისა და რ. ფოლის სისტემის განყოფილებაში", სადაც თანამშრომლებთან ერთად ეწეოდა კლინიკურ და სამეცნიერო საქმიანობას. არის 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის და პუბლიკაციის ავტორი, მათ შორის რიგი უნიკალური ექსპერიმენტების, რომლებიც გამოქვეყნებულია, როგორც სამამულო, ისე უცხოეთის სამეცნიერო გამოცემებში. მონაწილეობდა მრავალ სამეცნიერო კონფერენციაში, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ. მოამზადა დისერტაცია თემაზე „ბიოინფორმაციული მედიცინის სადიაგნოსტიკო და სამკურნალო შესაძლებლობების შედარებითი ანალიზი", მაგრამ დაცვა შეუძლებელი გახდა შესაბამისი სამეცნიერო საბჭოს არ არსებობის გამო.

ბატონი თამაზი ითვლება საქართველოში ჰომეოპათიური მკურნალობის ერთ-ერთ ფუძემდებლად, წლების განმავლობაში ასწავლიდა ჰომეოპათიის საფუძვლებს სტუდენტებს ჩინური და ტრადიციული მედიცინის აკადემიაში.

არის მედიცინის აკადემიური დოქტორი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, ენერგოინფორმაციული მდიცინის ესქპერტი. 2002-2005 წლებში მუშაობდა ჯანდაცვის სამინისტროში ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ. 2006 წლიდან დღემდე არის ტრადიციული და ალტერნატიული მედიცინის ცენტრის „ალტერმედ+"-ს დამაარსებელი და დირექტორი. მეუღლესა და შვილთან ერთად ეწევა აქტიურ სამედიცინო პრაქტიკას, მათ შორის სენაკშიც, სადაც ემსახურებიან პაციენტებს დასავლეთ საქართველოს პრაქტიკულად ყველა რაიონიდან.

გარდა სამეცნიერო და საექიმო პრაქტიკული საქმიანობისა, აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში. არჩეული იყო სენაკის საკრებულოს დეპუტატად.

10 წელზე მეტია ხელმძღვანელობს ჯგუფ „იბერიონს".

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და 5 შვილიშვილი.

ბატონო თამაზ, ექიმობა ჩვენში ყოველთვის პრესტიჟულ, ამასთან საოცნებო და სასურველი პროფესია გახლდათ. თან მშობლების თაობა ყოველთვის დაინტერესებული იყო მათი შვილი გამხდარიყო „მაჯისაცა შემტყობარი", თქვენ როგორ აირჩიეთ, რამ გიბიძგათ გამხდარიყავით ექიმი?

მართალი გითხრათ, სკოლის პერიოდში უფრო ზუსტი საგნები მიზიდავდა - მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ხაზვა. რესპუბლიკურ ტურებში რამდენიმეჯერ გამარჯვებულიც კი ვიყავი. ცნობილი მათემატიკის მასწავლებელი - ლეონიდე ცხადაია მირჩევდა უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკურზე ჩამებარებინა და რამდენიმე წელიწადში, მეცნიერებაში, წარმატებულ მომავალსაც მიწინასწარმეტყველებდა. მაგრამ განგებამ სხვანაირად ინება. ჩემი ექიმობა ძალიან უნდოდა ბებიას. როცა ავად იყო მას ვუვლიდი და მთხოვა ექიმი გავმხდარვიყავი - შენგან კარგი ექიმი დადგებაო. მშობლებიც იგივეს მთხოვდნენ. მეც თხოვნა შევუსრულე. შემდგომმა მოვლენებმა მიჩვენეს, რომ კარგი არჩევანი გავაკეთე. ზუსტი მეცნიერებების ლოგიკური აზროვნება ძალიან დამეხმარა როგორც სამკურნალო საქმეში ისე მეცნიერებაში.

როგორ გაიხსენებთ სკოლის წლებს, პედაგოგებს? საერთოდ ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც თქვენს მეხსიერებაში რიდის, მოწიწების გრძნობით შემორჩნენ.

სკოლის წლები ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი და დასამახსოვრებელი იყო. განა შეიძლება არ გიყვარდეს და არ დააფასო მე-3 საშუალო სკოლის ისეთი გამორჩეული პედაგოგები, როგორებიც იყვნენ: თამარ პაჭკორია, თინა ქავთარაძე, რაჟდენ კირთაძე, ლეილა არახამია, მარატი გაბელია, ოთარ პარკაია, ეთერ ქობალია, ალიოშა წურწუმია, ვარლამ განგია, შალვა ახალაია, დომენტი კვაშილავა, ტერენტი ნანავა, ეთერ გოგოლიშვილი, ვენერა ცაგურია, ლეონიდე ცხადაია. ბოდიშს ვუხდი ყველას თუ ვინმე გამომრჩა. მათ უდიდესი როლი ითამაშეს, როგორც ჩვენს განათლებაში, ისე ადამიანებად ჩამოყალიბებაში. მათი ძალისხმევით ჩვენი კლასი, აკადემიური მოსწრებით, ერთ-ერთი გამორჩეული იყო მთელს სენაკში. კლასელები დღესაც ხშირად ვიკრიბებით და მადლიერებით ვიხსენებთ მათ.

ყოველ თაობას თავისი მახასიათებელი აქვს, თქვენი თაობა რითი იყო გამორჩეული, რა ღირებულებებს სცემდით პატივს? დღევანდელ ახალგაზრდებს რას ურჩევდით?

ჩვენი თაობის დროს არ იყო კომპიუტერი, მობილური ტელეფონი, ამიტომ თავისუფალი დრო მეტი გვქონდა. უფრო მეტი ცოცხალი ურთიერთობა იყო ერთმანეთთან - თამაშებით, სპორტით, ექსკურსიებით და სხვა. ოჯახის ღირებულებების, უფროსი თაობის პატივისცემის, ქართული ჯანსაღი ტრადიციების, კულტურის, აზროვნებისა და ცხოვრების წესის დაცვა ჩვენთვის აუცილებელი პირობა იყო. ოჯახშიც და სკოლაშიც ამას გვასწავლიდნენ. თავისუფლების ე.წ. ულტრალიბერარული გაგება, რომ ყველაფრის კეთების და ყველანაირი ქცევის უფლებაა, ჩვენთვის მიუღებელი იყო.

მიხარია, რომ დღევანდელი ახალგაზრდები, ჩვენთან შედარებით, უფრო განათლებულები და მეტი შესაძლებლობების მქონენი არიან, არანაკლებ უყვართ სამშობლო. მაგრამ, უცხოური ნეგატიური ზეგავლენაც, მათ აზროვნებაზე, საგრძნობლად დიდია. ამას უნდა გაუძლონ ღმერთის რწმენით, სულიერი და მენტალური განათლებით, იბერიული ტრადიციების, აზროვნებისა და ცხოვრების წესის დაცვით, აქედან გამომდინარე - სამშობლოს უანგარო სიყვარულით და მსახურებით.

ახალგაზრდებმა მინდა იცოდნენ, რომ მრავალი უცხოელისა თუ ჩვენი მეცნიერის კვლევის საფუძველზე დადასტურებულია, რომ საქართველოს საგანგებო სულიერი მისია გააჩნია - სულიერების, ღვთიური სიბრძნისა და სიყვარულის მაგალითი გახდეს მთელი კაცობრიობისათვის. დღევანდელ თაობას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, საუკეთესო შესაძლებლობა ეძლევათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ საქმეში. იბერიული სულიერი განათლების ჯგუფ „იბერიონში" სწორედ ამის სწავლება ხდება.

თქვენი განვლილი გზა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი სამეცნიერო და პრაქტიკული საქმეებითაა დატვირთული. ხართ უამრავი ნაშრომის ავტორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი... სხვა მრავალთან ერთად იყავით მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატიც. ასეთი მრავალმხრივ დატვირთული პიროვნება დროს როგორ პოულობდით საკრებულოში საქმიანობისთვის? როგორ გაიხსენებთ ამ წლებს?

საკრებულოს დეპუტატობა დაკავშირებული იყო ეროვნული მოძრაობის წლებთან - 1990-1991 წ. მაშინ მე ეროვნული ფრონტის ერთ-ერთი ნაწილის, სენაკის წარმომადგენლობის თავმჯდომარე ვიყავი. ეს ის ბობოქარი წლები იყო, როდესაც ერთმანეთს ენაცვლებოდა დამოუკიდებლობის მიღების უდიდესი სიხარული და ეროვნული ხელისუფლების დამხობის უკიდურესი წუხილი. შემდეგ კი სამოქალაქო დაპირისპირება, აფხაზეთის დაცემა, სამეგრელოს ანიოკება. მაშინ ყველაზე მეტად სენაკი დაზარალდა - დაღუპულები, დანგრეული სახლები, გაძარცული ოჯახები და სხვა. ღმერთმა ნუ ქნას მსგავსი რამ განმეორდეს.

მანამდე - 1981-1990 წწ. იყო ქ. მოსკოვში სწავლა ორდინატურაში და ასპირანტურაში, დისერტაციის დაცვა ენდოკრინოლოგიაში, მეცნიერული საქმიანობა.

1993 წლიდან დღემდე ვცხოვრობ და ვმუშაობ ქ. თბილისში, ვეწევი საექიმო და სამეცნიერო საქმიანობას. გამოქვეყნებული მაქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და პუბლიკაცია, მათ შორის საერთაშორისო გამოცემებში. ვარ მრავალი სამეცნიერო კონფერენციების მონაწილე, ენერგო-ინფორმაციული მედიცინის მიმართულებების - რ.ფოლისა და ვეგა-ტესტით დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდების ფუძემდებელი, ასევე ჰომეოპათიური მკურნალობის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. ჰომეოპათიური და ალტერნატიული მედიცინის ცენტრის „ალტერმედ +'-ის დამაარსებელი და დირექტორი. შექმნილია

300-ზე მეტი კომპლექსური ჰომეოპათიური და ენერგოინფორმაციული პრეპარატი სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ.

ყოველივე ამას ხაზს ვუსვამ არა იმისთვის, რომ სიამაყის გრძნობა მიპყრობს, არამედ იმიტომ, რომ ახალგაზრდებმა იცოდნენ - ღვთის ნებით, დაუღალავი შრომით, მონდომებით ნებისმიერი მიზნის მიღწევაა შესაძლებელი. ადამიანის შესაძლებლობები უსაზღვროა, თუ ყველაფერს სიყვარულით აკეთებ.

თქვენ ითვლებით ჰომეოპათიური მკურნელობის ერთ-ერთ ფუძემდებლად. ჩვენი გაზეთის მკითხველებს მოკლედ ხომ არ განუმარტავდით აღნიშნული მკურნალობის რაობას?

ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებები წარმოადგენენ ენერგო-ინფორმაციულ პრეპარატებს, რაც იმას ნიშნავს, ისინი აღადგენენ ცალკეული ორგანოების, სისტემების და მთელი ორგანიზმის დარღვეულ სასიცოცხლო ენერგიას, გამოწვეულს სხვადასხვა პათოლოგიური ფაქტორებით. სასიცოცხლო ენერგიის აღდგენა განაპირობებს ფუნქციური და ორგანული დაზიანებების გამოსწორებას და აღდგენას, საბოლოო ჯამში გამოჯანმრთელებას.

ჰომეოპათიური პრეპარატები მზადდება სპეციალური ტექნოლოგიით მცენარეული და სხვა ბუნებრივი ნივთიერებებისგან. ისინი არ შეიცავენ რაიმე სახის ქიმიურ კომპონენტებს. შესაბამისად არ გააჩნიათ წინააღმდეგჩვენებები, გვერდითი მოვლენები და გართულებები. მათი გამოყენება შეიძლება ნებისმიერ ასაკში და ნებისმიერი დაავადების დროს. ჰომეოპათია განსაკუთრებით ეფექტურია ბავშვებში.

ჰომეოპათიური მკურნალობა 200-ზე მეტი წლისაა. ის ფართოდაა გავრცელებული მთელს მსოფლიოში. საქართველოში მისი დანერგვა დაიწყო წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან. 1993 წ. პირველად საქართველოში გავხსენით ჰომეოპათიური კვლევისა და მკურნალობის ლაბორატორია, ჯერ რესპუბლიკური საავადმყოფოს ბაზაზე, შემდეგ კი - სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის. ტარდებოდა როგორც პრაქტიკული, ისე სამეცნიერო საქმიანობა. დაარსდა საქართველოს ჰომეოპათიური საზოგადოება რომელშიც გაერთიანებული იყო 20-მდე ექიმი. მისი პირველი პრეზიდენტი იყო თქვენი მონა მორჩილი.

თქვენი სამედიცინო პრაქტიკა – თვის ერთი კვირა სენაკში – რა მასშტაბისაა, რა კუთხით ეწევით პრაქტიკას.

ყოველი თვის ბოლოს, ერთი კვირის განმავლობაში, მე და ჩემი მეუღლე, უკვე 20 წელზე მეტია, პაციენტებს ვმკურნალობთ ქ. სენაკში, პრაქტიკულად მთელი დასავლეთ საქართველოდან. სპეციალური აპარატურით ხდება ორგანიზმის ფუნქციური დიაგნოსტიკა, პაციენტის ჩივილების ანალიზი და ამის საფუძველზე ენიშნებათ ინდივიდუალური ჰომეოპათიური მკურნალობა, ეძლევათ შესაბამისი პრეპარატები, თითქმის უმრავლესობა თერაპიული პათოლოგიების დროს. პაციენტების ჩაწერა ხდება წინასწარ. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ჰომეოპათიური მკურნალობა უმრავლეს შემთხვევაში საკმაოდ ეფექტურია.

თურმე 10 წელზე მეტია ხელმძღვანელობთ ჯგუფ „იბერიონს", რა ჯგუფია?

ცნობილია, რომ არსებობენ სულიერი და ფიზიკური სამყაროები. სულიერი - სრულად განმსჭვალავს და მართავს მატერიალურს. აქედან გამომდინარე, ღვთის ნებისა და დაშვების გარეშე არაფერი ხდება არც პირად და არც ქვეყნის ცხოვრებაში. ამიტომ, საჭიროა ვიცოდეთ რაზეა დამოკიდებული უზენაესის ნება, როგორ ფუნქციონერებს მისი მართვის სისტემა.

იბერიული სულიერი განათლების ჯგუფი „იბერიონი - სულიერება, სიბრძნე, სიყვარული" სწავლობს სწორედ სულიერი სამყაროს აგებულებას, მის კანონზომიერებებს, მართვის სისტემას. შესაბამისი ლიტერატურის შესწავლით ჯგუფის წევრები ეზიარებიან ღვთიურ სიბრძნეს და სიყვარულს, რაც საკუთარი თავის - ღვთიური შინაგანი „მე"-ს შეცნობის ტოლფასია. ასეთ ადამიანებს შეუძლიათ წარმატებებს მიაღწიონ პირად ცხოვრებაში, პროფესიაში, ადამიანებთან ურთიერთობაში და სხვებსაც დაეხმარონ იგივეში.

„იბერიონი"-ს საბოლოო მიზანია შევქმნათ, ილიას სიტყვებით, „ღმერთთან მოლაპარაკე" ადამიანთა ერთობა „ერისკაცთა - იბერთა საბჭო", რომელიც მმართველ ძალას დაეხმარება, ღვთიური კანონზომიერებების შესაბამისად, ქვეყნის მართვაში. ასეთი სახელმწიფო ნამდვილად იქნება ძლიერი და მხოლოდ უზენაესზე დამოკიდებელი.

უახლოეს პერიოდში განზრახულია „იბერიული კაბბალის ცენტრის" დაარსება. სასურველია ამ საქმეში სენაკის ჩართვაც. ჯგუფი ამაში დაგეხმარებათ, შესაბამისი ლექციათა კურსის ჩატარებით.

სენაკი თქვენი ოდაბადეა, რას ნიშნავს თქვენთვის იყო ამ ქალაქის საპატიო მოქალაქე?

ჩემთვის ეს უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა. ქალაქში სადაც დაიბადე, გაიზარდე, სკოლაში ისწავლე და რომელთანაც კავშირი არასოდეს გაგიწყვეტია, ყველა თაობა გიცნობს, მათ შორის ახალგაზრდებიც და როცა ისინი ნდობას გამოგიცხადებენ ეს ორმაგად სასიხარულოა. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ბატონებს ანზორ ცაგურიას, ჩემს რეკომენდატორებს - დამირ კუჭავას და თემურ ფოჩხუას. კომისიის ყველა წევრს, ასევე სენაკის მაშინდელ მერს ბატონ ლევან კუპრეიშვილს. მზად ვარ უფრო მეტი ძალისხმევით ვემსახურო სენაკს და სენაკელებს.

ამ ეტაპზე რით ხართ დაკავებული? სამომავლო გეგმებსაც ხომ არ გაგვიმხელთ?

დღეისათვის ვმუშაობთ ჰომეოპათიური ონლაინ კლინიკის გასახსნელად, ასევე - ახალი კომპლექსური ჰომეოპათიური და ენერგო-ინფორმაციული პრეპარატების შესაქმნელად. ვნერგავთ აპარატული მკურნალობის ახალ მეთოდს - ინდუქტოთერაპიას, სადაც გამოიყენება თავის ტვინის ფიზიოლოგიური რიტმების სპეციალური პროგრამები რიგი მენტალური და ფსიქოლოგიური პრობლემების სამკურნალოდ. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს - გვინდა გავაგრძელოთ, კორონა ვირუსის გამოვლენამდე, უცხოელ მეცნიერებთან ერთად დაწყებული ონკოლოგიური და სხვა რთული პათოლოგიების სამკურნალო პროგრამები. წინასწარმა კვლევებმა გარკვეული პოზიტიური შედეგები გვიჩვენეს. საჭიროა მათი დახვეწა, სისტემაში მოყვანა და სამკურნალო პრაქტიკაში დანერგვა.

როგორც მოგახსენეთ, განზრახული გვაქვს „იბერიული კაბბალის ცენტრი"-ს დაარსება. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ესაა.

რედაქციის სახელით ბატონ თამაზს მადლობას ვუხდით ინტერვიუსთვის და ვუსურვებთ წარმატებებს ყველა მიმართულებით, რომელ სფეროშიც მოღვაწეობს.

ნინო სართანია

მრავალშვილიანი დედა გმირია

გარუჩავების ნებიერა გოგოს პატარაობიდანვე თავს დაჰფოფინებდნენ მშობლები, ბებიები, ბაბუა, დედის მეგობრები. ყველა ცდილობდა ლამაზი ტანსაცმელით და სხვა აქსესუარებით გაენებივრებინათ პატარა მაგდა.

ინტელექტუალი მშობლები, ვიჩესლავ გარუჩავა და მედეა წირღვავა ქალიშვილს მაგდას, ვაჟს გიორგის უნერგავდნენ უფროსების პატივისცემას, სიყვარულს მამულისადმი, ტრადიციებისადმი.

მაგდა გარუჩავამ 1998 წელს დაამთავრა სენაკის მეოთხე საშუალო სკოლა, მიზანდასახული და შრომისმოყვარე გოგონა პარალელურად სწავლობდა სამხატვრო სკოლაში, ბავშვთა ქორეოგრაფიულ სტუდიაში და სენაკის სამუსიკო სკოლაში ფორტეპიანოს სპეციალობაზე. სამუსიკო სკოლის სოლო თუ შემაჯამებელ კონცერტებზე მაგდა გამოირჩეოდა საკონცერტო ნომრების მაღალი საშემსრულებლო კულტურით. მუსიკალური შვიდწლედის დასრულების შემდეგ ჩაირიცხა ქ.ფოთის ხელოვნების სასწავლებელში, აღნიშნული დაამთავრა 2000 წელს და მიენიჭა ფორტეპიანოს მასწავლებლის კვალიფიკაცია.

გონიერ და ჭკვიან ახალგაზრდას ჰქონდა საკუთარი თავის რწმენა, თვლიდა და თვლის დღესაც, რომ რწმენა ყოველგვარ საქმეში წარმატების საწინდარია. მაგდამ დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი ანგლისტიკის სპეციალობით. დედაქალაქში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას საჯარო და კერძო სექტორში.

თბილისში გაიცნო ზურაბ კირთაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის და კომაროვის სკოლის კურსდამთავრებული. განათლებულმა ახალგაზრდებმა კარგი ოჯახი შექმნეს. სანიმუშოა მათი გრძნობათა და დამოკიდებულებათა კულტურა, რაც პირველ რიგში იმაში გამოიხატება, რომ ორივე პატივს სცემს ერთმანეთის უფლებებს, იციან ერთმანეთის ხასიათის ბუნებრივი თავისებურებანი, ოჯახის მართვა, პატივის მიგება მოყვარე-მოკეთისადმი.

მაგდა გარუჩავა მრავალშვილიანი დედაა. ნატალიას, ილიას, მარიამის შემდეგ ოჯახს დიდი სიხარული მოუტანა ტყუპი ვაჟების იოანეს და ანდრიას მოვლენამ.

ცხადია მრავალშვილიანი მშობლების წინაშე მრავალი პრობლემაა. სახელმწიფოს მიზანი უნდა გახდეს მაქსიმალური ხელშეწყობა მრავალშვილიანი ოჯახებისადმი. ბავშვებს უნდა ეძლეოდეთ ფინანსური დახმარება სხვადასხვა მიმართულებით. მძიმე დემოგრაფიულ მდგომარეობაში მყოფი საქართველოსთვის ყოველი მრავალშვილიანი დედა გმირია.

მაგდას სახით ჩვენ გვაქვს მაგალითი ერუდირებული, ფართო და მრავალმხრივად განათლებული ქალბატონისა, რომელმაც ოჯახური მოვალეობანი წინა პლანზე დააყენა და დროებით გვერდზე გადადო პროფესიული საქმიანობა. მართლაც, რომ მისაბაძია მისი შეგნებული და პასუხისმგებლური დამოკიდებულება დედობრივი მოვალეობისადმი.

გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია ულოცავს კირთაძეების ოჯახს ტყუპების შეძენას და იანვრის დღესასწაულებს. დაჰბედებოდეს მათ ფუძეს ხვავი, ბარაქა, სიკეთე, სიხარული, ჯანმრთელობა.

მედეა ბაღათურია

ამაღლებული განწყობილებით შეხვდნენ შობა ახალ წელს ქართულ რუსული საბავშვო ბაღის „ტერემოკის" (ხელმძღვანელი ლუდმილა ნაჭყებია) აღსაზრდელები. ტერემოკელებმა ლამაზი სიმღერებით. ქორეოგრაფიული და მუსიკალური ნომრებით ხალხური რწმენა-წარმოდგენებით მიულოცეს დამსწრეთ იანვრის დღესასწაულები.

დარბაზში ციმციმებდა შობის ვარსკვლავი. აღსაზრდელები გაახალისა ორიგინალურად გაფორმებულმა ნაძვის ხემ, მბრწყინავმა საახალწლო დეკორაციებმა და ბოლოს სანატრელმა თოვლის ბაბუმ.

საახალწლო ზეიმი ერთგვარი შეჯამება გახლდათ იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევებისა, რაც აღსაზრდელებმა საბავშვო ბაღში შეიძინეს.

„ტერემოკელები" და მათი პედაგოგები იანვრის დღესასწაულებს ულოცავენ სრულიად საქართველოს ბავშვებს, უსურვებენ მშვიდობას და ბედნიერ ბავშვობას.

მორიგი წარმატება

11-12 იანვარს, რუსთავში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი 23-წლამდელთა შორის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ტურნირზე საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა. კვლავ გაგვახარეს და წარმატებით იასპარეზეს სენაკელმა ფალავნებმა, გიორგი ჩხიკვაძემ (72 კგ. წ/კ.) და ლუკა ოჩიგავამ (67კგ.წ./კ.).

ფინალურ ბლოკში ორ წონაში, 67-სა და 72-ში „მეგრული ფინალები" გაიმართა სენაკელებსა და ხობელებს შორის. იმარჯვეს სენაკელებმა და საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს.

„კოლხეთის" რედაქცია ულოცავს ჩვენს საამაყო სპორტსმენებს და მათ მწვრთნელს ვალერი მურღულიას გამარჯვებას. დაე, ეს გამარჯვება ყოფილიყოს შემდგომი გამარჯვებების საწინდარი.

მ.ჭუბაბრია

<u>თვალსაზრისი</u>

რუსული ენის ცოდნა საჭიროა

სენაკის მუსიკალური საზოგადოების წევრი, ქალბატონი იზოლდა ქოიავა რამდენიმე ათეული წელია ჩვენს გაზეთთან თანამშრომლობს. მკითხველს ვთავაზობთ ქალბატონ იზოლდას მოსაზრებას და ლექსს.

მე ამ ქვეყნის ერთ-ერთ ასაკოვან ადამიანს ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა, მაწუხებს მისი მომავალი და ნურავინ ნუ მიწყენს ერთი სამართლიანი რეპლიკით ჩემი აზრი, რომ გამოვხატო.

ვარ რუსული ენის პედაგოგების ოჯახიდან. ბავშვობიდან მიყვარს ეს ენა, ამიტომ მიყვარს ახალგაზრდობასთან, მოსწავლეებთან გასაუბრება და მათთვის კითხვების დასმა. ძალიან მიყვარს კარგი პასუხების მოსმენა, მაგრამ ამჟამად იმედები გამიცრუეს. რამდენიმე მოსწავლისგან მესმის: არც რუსული და არც მასწავლებელი, რადგან რუსული ენა პუტინის ენაა და პუტინი ოკუპანტია. ამ პასუხით ძლიერ დამწყდა გული. პუტინი კი არის ოკუპანტი, მაგრამ რუსული ენა პუტინის არ არის, პირველ რიგში რუსული ენა საერთაშორისოდ ითვლება და იგი ძველი რუსი კლასიკოსი პოეტების ენაა, რომლითაც ისინი ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოდნენ. მასწავლებელმა ბავშვებს ენა უნდა შეაყვაროს და ნორმალურად აუხსნას მასალა. ერთი სკოლადამთავრებულისგან ისიც კი მოვისმინე: რუსული ენა რომ მესწავლა თავის დროზე, სამუშაოს ადვილად ვიპოვიდიო. საქმეც ამაშია, ჩემო კარგო ხალხო, თქვენის ნებართვით მინდა ერთი ამონარიდი მოვიყვანო ტურგენევის ნაწარმოებიდან: дни сомнений, во дни тягостных раздумий о судьбах моей родины, — ты один мне поддержка и опора, о великий, могучий, правдивый и свободный русский язык! Не будь тебя — как не впасть в отчаяние при виде всего, что совершается дома? Но нельзя верить, чтобы такой язык не был дан великому народу!(ეჭვის დღეებში, ჩემი სამშობლოს ბედზე მტკივნეული ფიქრების დღეებში, მხოლოდ შენ ხარ ჩემი თანადგომა და მხარდაჭერა, ო, დიდო, ძლევამოსილო, მართალო და თავისუფალო რუსულო ენაო! შენს გარეშე როგორ არ ჩავვარდე სასოწარკვეთილებაში ყველაფრის დანახვაზე, რაც სახლში ხდება? მაგრამ არ შეიძლება დაიჯერო, რომ ასეთი ენა არ მიეცა დიდ ხალხს!).

ვთვლი, რომ რუსული ენის ცოდნა საჭიროა, იმედია ჩემს მოსაზრებას არ ჩამითვლიან ოკუპანტის მხარდაჭერად. ენა ხომ ერების კომუნიკაციის საუკეთესო საშუალებაა.

მოხუცი მამის გოდება

ქვეყანა შემოვიარე
ბევრი ვნახე მგლოვიარე,
ტკივილისგან დაჩაგრული
და ლოგინზე მწოლიარე.
ყველაზე დიდი სიმდიდრე
არის ჭკუა და გონება,
ჭკუა ღარიბად მოსილი
არვისგან მოიწონება.
ძნელი არის მოხუცისთვის
მიწურული სიცოცხლისა.
დღისით დარდი არ ასვენებს,
ღამეც აღარ აძლევს ძილსა.
ვის უნდევხარ, ვის უყვარხარ,
ან ვინ გეტყვის ენას ტკბილსა,
როცა კაცი მოხუცდება,
მამაც აღარ უნდა შვილსა.
ასაკი ულმობელია,
არც ერთ უხუცესს არ ინდობს.
უნდობლად შემოგიჩნდება
თვითონ ხალისობს, ზეიმობს.
სიცოცხლე ძვირფასია და
მისი დათმობა ძნელია,
ამიტომ სიკვდილ-სიცოცხლეს
აქვს უხილავი გზებია.
ღონე გქონდეს ტარიელის,
რუსთაველის გქონდეს ნიჭი,
სიკვდილისგან თავს ვერ იხსნი
რაგინდ იყო კარგი ბიჭი.

წლის წარმატებული ხელოვანი

ბატონი კოვალი ხუნწარია დაიბადა სენაკში 1947 წლის 18 დეკემბერს. იზრდებოდა საშუალო ფენის ოჯახში. 1966 წელს დაამთავრა სენაკის №1 საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს ჯარში, სადაც იმსახურა 2 წელი. 1966 წელს ჩააბარა თბილისი ნიკო ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო ტექნიკუმში. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ კი ჩაირიცხა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტზე. როგორც იგი აღნიშნავს, მას ჰქონდა ბედნიერება ყოფილიყო ისეთი პედაგოგების გვერდით როგორებიც იყვნენ აპოლონ ქუთათელაძე, გიორგი კანდელაკი, ზურა მიქატაძე, სოსო ასათიანი და ასე შემდეგ. აკადემიიდან იგი სამუშაო ჯგუფთან ერთად იმყოფებოდა ყამირ მიწებზე, სადაც მუშაობდა ინტერიერის დიზაინზე. 1978 წელს კი დიპლომის წარჩინებით დაცვის შემდეგ დაამთავრა აკადემია. აკადემიის დამთავრების შემდეგ გააგზავნეს ქალაქ სამტრედიაში და თავისივე სპეციალობით დაიწყო მუშაობა ავეჯის კომბინატში ინჟინრად. აკეთებდა ნახაზებს, პროექტებს, მაგრამ როგორც თვითონ აღნიშნავს სამწუხაროდ „იქ ვერ ჰპოვა მან თავისი თავი“. ამ დროს სენაკის თეატრი იყო სავალალო მდგომარეობაში და კეთდებოდა მისი რესტავრაცია-რეაბილიტაცია. იგი შეახვედრეს ბატონ დიმიტრი ბარქაიას, მხატვარს, სენაკის აკაკი ხორავას სახლობის დრამატული თეატრის დირექტორს. შესთავაზეს თეატრში თავისი სპეციალობით მუშაობა.

ბატონი კოვალი თეატრში მუშაობის წლებს იხსენებს დიდი სიყვარულითა და პატივისცემით. თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოების დამთავრების შემდეგ ბატონმა დიმიტრი ბარქაიამ ახალგაზრდა და მოტივირებულ მხატვარს შესთავაზა სამხატვრო სკოლაში ემუშავა მოსწავლეებთან. იმ დროს სამხატვრო სკოლის

დირექტორი იყო დიდი პიროვნება, მოქანდაკე ოთარ პარკაია, რომელმაც საკმაოდ თბილად მიიღო ახალგაზრდა მხატვარი და შეიძლება ითქვას მის მემკვიდრედ გამოაცხადა. სწორედ ასეც მოხდა. ოთარ პარკაიას გარდაცვალების შემდეგ ბატონი კოვალი დაინიშნა სამხატვრო სკოლის დირექტორად და თითქმის 15 წლის მანძილზე უძღვებოდა ამ სკოლას. იქ მოღვაწეობის წლებს იგი იხსენებს დიდი აღტაცებით და თვლის, რომ ეს პერიოდი ერთ-ერთი წარმატებულია მის ცხოვრებაში. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ბატონმა კოვალმა ჩათვალა, რომ უკვე დრო იყო თანამდებობიდან წასვლის და მიუხედავად მაშინდელი ქალაქის მმართველობის დაჟინებული თხოვნისა იგი მაინც გადადგა დაკავებული პოზიციიდან. მან გააგრძელა საყვარელი საქმე და თავდადებით ემსახურება ახალგაზრდა თაობის აღზრდას. ჰყავს წარჩინებული მოსწავლეები, რომლებიც დღესაც წარმატებულები არიან პროფესიაში.

გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა ბატონი კოვალი რამდენჯერმე მონაწილეობდა რაიონში ჩატარებულ სამხატვრო გამოფენებზე, სადაც გაჰქონდა თავისი ნამუშევრები. სენაკის სამხატვრო გალერეაში დღესაც არის ბატონი კოვალის რამდენიმე ნახატი. მისი სურვილია, მოაწყოს პერსონალური გამოფენა, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ახერხებს, რადგანაც ის დაკავშირებულია ფინანსებთან და სხვა საორგანიზაციო საკითხებთან, თუმცა იმედს არ კარგავს, რომ სენაკელები ოდესმე მაინც შეძლებენ გაეცნონ კოვალ ხუნწარიას შემოქმედებას.

ამას წინათ ჩვენი მუნიციპალიტეტის მერიამ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებულ სენაკელებთან ერთად კოვალ ხუნწარიას მიანიჭა წლის წარმატებული ხელოვანის წოდება. ბატონი კოვალი თვლის, რომ ეს მისი შემოქმედებითი შრომის დაფასებაა და მადლობას უხდის სენაკის მუნიციპალიტეტის მერს ვახტანგ გადელიას, ყველა იმ ადამიანს, ვინც მას გაუწია რეკომენდაცია.

გაზეთ „კოლხეთის“ რედაქციის სახელით ვულოცავთ მას ამ საპატიო სტატუსს და ვუსურვებთ კიდევ უფრო დიდი წვლილის შეტანას ხელოვნების სფეროში, ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

მარიკა მიქაბერიძე

ციალა სიგუა

ჩვენო ციალა, დასრულდა შენი ამქვეყნიური ცხოვრება, ღირსეულად განვლილი, მაქსიმალურად დახარჯული, როგორც პირად, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თავგადადებული დედა და მეოჯახე, ღირსეული შვილების აღმზრდელი.

ექიმთა დიდებული თაობის ერთ-ერთი გამორჩეული მოჰიკანი, უსაზღვროდ განსწავლული და ნამდვილი პროფესიონალი ექიმი, დასაყრდენი ჩვენთვის, შენი კოლეგებისათვის.

დაგვაკლდება შენი პროფესიული რჩევები, კონსულტაციები, დააკლდები პაციენტებს, რაიონს.

შენეულ, კუთვნილ ადგილს ძნელად თუ შეავსებს ვინმე.

გმადლობთ, რომ იყავი ჩვენს გვერდით, გვაძლიერებდი და გვამხნევებდი სირთულეებით აღსავსე ჩვენს პროფესიულ გზაზე.

არ გემშვიდობებით, მხოლოდ ღვთისგან დადგენილ დროს, ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს ზეციურ საქართველოში, მანამდე კი ვიცოცხლებთ შენი უკვდავი სულისთვის.

მომავალ შეხვედრამდე იმიერში, ჩვენო ძვირფასო კოლეგავ.

სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების თანამშრომლები

შპს სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენი ექიმ-ენდოკრინოლოგის

ნათელა (ციალა) სიგუას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „კოლხეთის” რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ღვაწლმოსილი ექიმის, საუკეთესი სენაკელის

ნათელა (ციალა) სიგუას

გარდაცვალების გამო.

ვალერიან პაჭკორია

ერთი წელი შესრულდა შენი გარდაცვალებიდან. ძალიან დააკლდი ოჯახს, მეუღლეს ინეზას, შვილებს ირმას და ცირას, შვილიშვილებს, ახლობლებს.

სწავლა–აღზრდის პროგრესულ მეთოდებს იყენებდი როგორც შვილებთან, ისე მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს.

მომთხოვნელობა, ზომიერი სიმკაცრე, პუნქტუალობა იყო შენი ძირითადი თვისება ნატოჩაოს არასრული საშუალო სკოლის დირექტორად, მეოთხე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ, ამავე სკოლის ისტორიის და გეოგრაფიის მასწავლებლად მუშაობის წლებში. პასუხისმგებლობით ეკიდებოდი დაკისრებულ მოვალეობას და ცდილობდი ღრმად ჩაგეხედა თითოეული მოსწავლის სულში.

ირმა და ცირა, რომლებიც მეოთხე საშუალო სკოლაში სწავლობდნენ, სახლშიც მოფერებით „პაპას” (მამას) გეძახდნენ. შენი შვილიშვილები ანასტასია, ანდრია, დემეტრე შენი სურათის ხილვისას, ჩვენი „პაპა-ბა-ბუაო”- ამბობენ.

უშენოდ მოდის შენი დაბადების დღე. ძალიან მტკივნეული და ამავე დროს ღირსსახსოვარი შენი ოჯახისათვის.

ძალიან გვაკლიხარ, გვენატრება შენი ჭკვიანური რჩევა-დარიგება, გულისხმიერი დამოკიდებულება, სიდარბაისლე და შეუდარებელი ტაქტი.

გინთებთ წმინდა სანთლებს, რომ გაგინათოთ სამარადჟამო სამყოფელი.

მუდამ მოგისაკლისებთ და შევთხოვთ უფალს სუფევა მისცეს ვალერიან პაჭკორიას სხივიან სულს.

ოჯახი

2021 წლის მნიშვნელოვანი პროექტები, ფაქტები, მოვლენები

გიორგი (ჟორა) დამენია

წავიდა ჩვენგან სცენის ბერმუხა, სენაკის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი, გამორჩეული პიროვნება, კაცურკაცობის, ვაჟკაცობის ეტალონი გიორგი(-ჟორა) დამენია. იგი ყველა თაობის საყვარელი მსახიობი იყო. მაყურებელს უყვარდა მის მიერ მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებული როლები, ამიტომაც იყო, რომ მის ყოველ გამოჩენას სცენაზე ტაშითა და ოვაციებით ხვდებოდნენ. ბატონი ჟორასათვის თეატრი მეორე ოჯახი იყო, სადაც თავს ლაღად და ბედნიერად გრძნობდა. უსაზღვროდ უყვარდა სენაკის თეატრი და მისი ყოველი წარმატება უდიდეს ბედნიერებას ანიჭებდა. უყვარდა წარსულზე საუბარი, სიხარულით იხსენებდა იმ ბედნიერ დღეებს, როდესაც წარმატებით გამოდიოდა სცენაზე და საინტერესოდ ანსახიერებდა როლებს, რომლებიც მის მეხსიერებაში ულამაზეს მოგონებად დარჩა, მოსაგონარი კი ძალზე ბევრი ჰქონდა... გვჯერა რომ სენაკელები არასოდეს დაივიწყებენ მის მიერ პროფესიონალიზმით შესრულებულ როლებს: ჩონდა-ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი", შელია - მ. ხუნწარიას „კვალდაკვალ", ბურდღუ – მ. ხუნწარიას „ტეხურის პირას", ქუჩარა –პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი", მუროვი –ნ. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი", ვახტანგი- ნ. ხუნწარიას „ქორწილი ტეხურის პირას", გოგელია – ვ. კანდელაკის „დრო 24 საათი", ჯალათი – ნახუცრიშვილის „შაითან ხიხო", ონისე –ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა", მიხეილ ევგენიძე – ჩხაიძის „ხიდი", აგაბო -ოტია იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება", გოგოლი – ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირაღები" და სხვა.

ჟორა დამენიას სხვადასხვა დროს მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები: საკავშირო ფესტივალის ლაურეატის წოდება, ღირსების მედალი, 2015 წელს დაჯილდოებულ იქნა ღირსების ორდენით, 2021 წელს მრავალწლიანი შემოქმედებით საქმიანობისათვის, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ამაგდარის წოდება მიანიჭა.

გიორგი (ჟორა) დამენიას სახელი სამუდამოდ დარჩება სენაკის თეატრის ისტორიაში, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ლამაზი, ვაჟკაცური სული.

სენაკის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

გამორჩეული თეატრალი

უსაზღვროდ უყვარდა თავისი ქალაქი და თეატრი. რედაქციის ხშირი სტუმარი იყო, განსაკუთრებით თამაზ კანკიას რედაქტორობის წლებში, ბატონი თამაზი ამავე დროს აკაკი ხორავას სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი გახლდათ.

იუმორის გრძნობით გამოირჩეოდა. მშობლიური თეატრის წინსვლა და წარმატებები უხაროდა. დიდი წვლილი შეჰქონდა ახალგაზრდების პროფესიულ განვითარებაში.

დააკლდა ქალაქს და თეატრს ღვაწლმოსილი კაცი. ვუსამძიმრებთ მის ოჯახს და კოლეგებს.

მსუბუქი იყოს ბატონი ჟორას გულზე დაყრილი მშობლიური მიწა.

გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია

ლელა ხარებავა-გვასალია

ულმობელია ბედისწერა, ზოგჯერ ისე სასტიკი და დაუნდობელი, რომ დაუზოგავად ანგრევს ადამიანის შრომითა და ჯაფით მოპოვებულ ბედნიერებას, რაც დრო გადის უფრო და უფრო მძაფრდება შენი მონატრება, შვილო. 8 ტკივილიანი და ცრემლიანი წელიწადია ჩემს გულში მწუხარება მომაკვდინებელ შხამად რომ ეწვეთება. არ ვიცი რა ვუყო იმ დიდ ტკივილს და აუტანელ სიცარიელეს, რასაც უშენობა ჰქვია. განა ვინმეს შეუძლია შენ გარდა ჩაიხედოს ჩემს გულში და ამოიკითხოს ის, რაც შიგ ტრიალებს. შენ რომ ცოცხალი მყოლოდი, ჩემზე ბედნიერი დედა არ იქნებოდა მსოფლიოში. როცა ამ ქვეყნიდან მიდის შენი სხეულის და გულის ნაწილი, და მის გარეშე უნდა იცხოვრო, ეს ძალიან რთულია, ამის გადმოცემა შეუძლებელია. ჩემო ნიჭიერო, წიგნიერო შვილო, ვიცი ჩემი დაბეჩავება არ გაგიხარდება, ამიტომ ვცოცხლობ, თუ ამას ცხოვრება ჰქვია. დაუფასებელია შენი სათნოება, სითბო, სიყვარული, რომელსაც უშურველად გასცემდი. ეს კარგად ახსოვთ შენს ირგვლივმყოფთ, ამიტომაც განვლილი გზა შენი ნათელი ნაკვალევითაა აღბეჭდილი. უკანასკნელ გზაზეც ცრემლითა და წუხილით ამიტომაც მიგაცილებდა ზღვა ხალხი. უღრმესი მადლობა ყველას ასეთი თანადგომისათვის. შენც გმადლობ შვილო, მარად უკვდავი სიყვარული რომ დაგვიტოვე.

ლელა, იქაც მარტო არ ხარ, შენი მოსიყვარულე მამიკო იქ დაგხვდა, ბედნიერია, რომ შენი გაჭირვება არ უნახავს ისე წავიდა ამ ქვეყნიდან. ჩემი ლოცვა და სანთლები გაგინათებთ გზას ორივე მამა-შვილს ზეციური სასუფევლისკენ.

ჩემს გულში შენს მონატრებას ჟამი ვერ წაშლის. ხომ იცი მონატრებაში ვატარებ წუთისოფლის უღიმღამო დღეებს. ჩვენი ოჯახისათვის ყოველი დღის გათენება ხომ ტკივილია და დარდია. აკლიხარ ყველას, მეუღლეს, ერთადერთ ძმას- გელას, ახლობლებს, მეგობრებს, განსაკუთრებით კი შვილს – მარიამს, რომელსაც შენი გარდაცვალებით მიყენებული ბავშვობის დროინდელი იარა მწარედ ატყვია გულზე, ვინ იცის ოდესმე მოშუშდება თუ არა ტკივილი, რადგან შეუძლებელია უდედობით გამოწვეული განცდის ამოვსება, დედა ხომ განუმეორებელია. ახლა ის სტუდენტია და უდედობას უფრო გრძნობს. სულისშემძვრელ სიტყვებს აჟღერებს. „რა იქნებოდა დედიკო მეც მყოლოდა, რატომ წამართვა ის საზიზღარმა სიკვდილმა"-ო, ღმერთი შეუწყობს შვილო შენს მარიამს ხელს, ის უმაღლეს სასწავლებელს დაამთავრებს და დადგება ისეთი გოგო, როგორიც შენ გაგიხარდებოდა. ასე რომ შენს სულს უფლება აქვს მშვიდად განისვენოს ზეციურ სასუფეველში. მარიამი კი შენს სახელს დავიწყებას არასოდეს მისცემს.

მსუბუქი იყოს შენს გულზე მოყრილი მშობლიური სენაკის მიწა, ღმერთმა ნათელში მიმყოფოს შენი ლამაზი სული.

შენი დედიკო

გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია თანაუგრძნობს ირინა ხორავას მამის

ამირან ხორავას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია თანაუგრძნობს გია პაპავას და ნათია მურღულიას მამის

ზაური პაპავას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია თანაუგრძნობს გოგა ხაბურზანიას შვილის

ანა ხაბურზანიას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია თანაუგრძნობს ლეილა ჭანტურია მეუღლის

იური ჭანტურიას

გარდაცვალების გამო.

დოჩია ბარკალაია-მალანია

ქალბატონ დოჩიას ახლო კონტაქტი ჰქონდა ჩემი ოჯახის უფროს თაობასთან.

ბეთლემის რვაწლიან სკოლაში ქალბატონი დოჩია და ჩემი მამიდები ნათელა და ვარო ბაღათურიები ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ, გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ და რომ იტყვიან „ლუკმას ერთად იყოფდნენ"

ქალბატონმა დოჩიამ ბეთლემის რვაწლიანი სკოლის შემდეგ პედაგოგიური საქმიანობა ქალაქის სკოლა-ინტერნატში განაგრძო. ვინ მოთვლის, რამდენი მოზარდი აზიარა ცოდნის დიდ და ამამაღლებელ მადლს.

საუკეთესო დედა იყო, მზრუნველი მეუღლე, მოსიყვარულე ბებია, კარგი მეზობელი და მეგობარი.

92 წლის ასაკში წავიდა ამქვეყნიური ცხოვრებიდან. შთამომავლებს მაგალითად დაუტოვა სახელოვნად განვლილი ცხოვრების გზა და სპეტაკი ქალბატონის სახელი. ნათელში იყოს!

მ. ბაღათურია

ხათუნა წირღვავა

ხანმოკლე იყო მისი ავადმყოფობა, გარდაცვალება კი - მოულოდნელი. მძიმეა, გააცნობიერო სიკვდილი უახლოესი ადამიანისა და მწუხარებით მიღებული ტკივილი - ტკივილი მისი უკვე არ არსებობისა და მომავალში მის გარეშე ყოფნისა. ბედისწერამ, ამ ერთ წელიწადში, ჯერ მისი დაიკო მზიანა და შემდეგ კი, თვითონ, დაუნდობლად იმსხვერპლა.

ცხოვრება დროში წამის გაელვებაა და მაინც... თავისი პიროვნული ღირსებებით ეს გზა წარმატებით გაიარა სკოლიდან მოყოლებული უმაღლესი სასწავლებლის ჩათვლით, პროფესიით ბიოლოგი, პატივს სცემდა თავის არჩევანს და ქონდა შესაბამისი შრომითი წარმატებებიც, მუშაობდა სენაკის პურკომბინატში ლაბორატორიის გამგედ.

იყო ბუნებით მშვიდი, სიწმინდე და მადლი არ აკლდა, ტკივილებმა ვერ შეცვალეს, ისეთივე იმედიანი იყო, როგორც ჩვეოდა - არ დაუკარგავს რწმენა მომავლისა და გამოჯანმრთელებისა... ებრძოდა სიკვდილს, სანამ ის რეალობად არ ექცა... დაგვტოვა ჩვენ და დაგვიტოვა მოუშუშებელი ტკივილი.

მედეა წირღვავა

სარედაქციო ჯოლეგია

მთავარი რედაქტორი ნინო სართანია

რედაქტორი მედეა ბაღათურია

ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე

ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:

სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.

ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში

რეგისტრაციის №56/7-17

გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"

ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33

ტელ: 223779,223711, 223499